დამტკიცებულია:

წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 25 სექტემბრის დადგენილებით (ოქმი №06)

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის

სადოქტორო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტი

თბილისი, 2024 წელი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მოქმედების სფერო და მიზანი

1. წინამდებარე აქტი ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული-სამართლებრივი აქტების შესაბამისად განსაზღვრავს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში (შემდგომ - „უნივერსიტეტი“) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ მინიმალურ სტანდარტს.
2. უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების მიზანია ახალი ცოდნის შექმნა ან/და არსებული ცოდნის განვითარება, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობა ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით.
3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამამ, კვლევითი უნარების გაღრმავების გზით, უნდა უზრუნველყოს დოქტორანტის მომზადება დამოუკიდებელი კვლევითი, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისთვის, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, დოქტორანტის საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, ინოვაციური ცოდნის შექმნა და ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბება, მეცნიერების (სფეროს), სახელმწიფოს ან/და საზოგადოების, ინტელექტუალური, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ინდუსტრიული ან/და სხვა სახის განვითარება, დარგობრივი, სამეცნიერო ხასიათის თანამშრომლობა (მათ შორის, ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით), ასევე უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება და განხორციელებული კვლევითი პროექტების შესაბამისობა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტრატეგიასთან.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე სტანდარტის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა. დოქტორანტურა – აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური;
ბ. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა – აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს;
გ. დოქტორანტი – პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში;
დ. დოქტორი – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შედეგად ენიჭება.

თავი II. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები

მუხლი 3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და რომელიც ფაკულტეტის მიმღები დარგობრივი კომისიის მიერ, მისი კვლევითი უნარების შეფასების შედეგების საფუძველზე, მოიპოვებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას.

2. კონკრეტული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით პროგრამაზე დაშვების წინაპირობად შეიძლება განისაზღვროს წინარე განათლება, კვლევის პროექტი, შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება, რაც იძლევა კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას.
3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირს, რომელსაც ქართულენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სურს სწავლის გაგრძელება, მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნა, რაც შეიძლება დადასტურდეს ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით (TOEFL Paper - 513 – 547; TOEFL CBT - 183 – 210; TOEFL IBT - 65 – 78; IELTS - 5.5 – 6.5; FCE - 161 -180) ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატით (CERTUS - 72 -88,25) ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა) დასრულების დამადასტურებელი დიპლომით ან ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის განმსაზღვრელი შიდასაუნივერსიტეტო ტესტირებით.
4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირს, რომელსაც ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სურს სწავლის გაგრძელება, მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ C1 დონის ცოდნა, რაც შეიძლება დადასტურდეს ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ C1 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით (TOEFL Paper - 590 – 637; TOEFL CBT - 243 – 270; TOEFL IBT - 82 – 90; IELTS - 7 – 8; CAE - 181 -200) ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატით (CERTUS - 88,25-100) ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა) დასრულების დამადასტურებელი დიპლომით ან ინგლისური ენის C1 დონის ცოდნის განმსაზღვრელი შიდასაუნივერსიტეტო ტესტირებით.
5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირს, რომელსაც ქართულენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სურს სწავლის გაგრძელება და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, ასევე მოეთხოვება ქართული ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნა, რაც შეიძლება დადასტურდეს ქართული ენის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატით ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ქართულენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა) დასრულების დამადასტურებელი დიპლომით ან ქართული ენის B2 დონის ცოდნის განმსაზღვრელი შიდასაუნივერსიტეტო ტესტირებით.
6. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი, რომელიც შიდასაუნივერსიტეტო ტესტირების შედეგებით ვერ გადალახავს ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. შიდასაუნივერსიტეტო ტესტირების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უნდა იყოს წინასწარ დამტკიცებული, საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.
7. უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობის წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი დოქტორანტი უნდა აკმაყოფილებდეს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს.
8. უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს ასევე უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9. უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებას, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე, აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი. მიღება შეიძლება გამოცხადდეს როგორც შემოდგომის, ისე გაზაფხულის სემესტრისათვის.

10. დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ განისაზღვრება შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. იგი უნდა განთავსდეს უსდ-ის ვებ-გვერდზე კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე და მოიცავდეს ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამის, მიღების ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის, ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების, დოქტორანტების მიერ კვლევის განხორციელებისათვის მხარდამჭერი და წახალისების მექანიზმების, ასევე სხვა ასპექტების შესახებ.
11. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტში არსებული ადამიანური, ფინანსური და კვლევითი რესურსების, მათ შორის დოქტორანტის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის გათვალისწინებით.

მუხლი 4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტები

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირმა ფაკულტეტის მიმღებ დარგობრივ კომისიას, დადგენილ ვადებში, უნდა წარუდგინოს აპლიკაცია, სასურველი სადოქტორო პროგრამისა და მისი კვლევითი ინტერესების შესაბამისად არჩეული სამეცნიერო ხელმძღვანელის მითითებით.
2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა პირმა აპლიკაციისა და მასზე თანდართული დოკუმენტების წარდგენა უნდა განახორციელოს უნივერსიტეტის სპეციალური ელექტრონული სარეგისტრაციო პორტალის მეშვეობით [https://reg.eeu.edu.ge/phd/].
3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირმა წარდგენილ აპლიკაციას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

   ა. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ელექტრონული ვერსია. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - ქართულად ნათარგმნი პასპორტის ელექტრონული ვერსია;

   ბ. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე ცნობის ელექტრონული ვერსია, თუ დიპლომი ჯერ არ არის გაცემული;

   გ. ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა) დასრულების დამადასტურებელი დიპლომის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ელექტრონული ვერსია;

   დ. ავტობიოგრაფია (CV), რომელიც ასახავს მონაცემებს აპლიკანტის განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ;

   ე. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ელექტრონული ვერსია (მხოლოდ სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა საქართველოს მოქალაქეებისთვის);

   ვ. ფოტოსურათის (3X4) ელექტრონული ვერსია;

   ზ. სადოქტორო კვლევის პროექტი;

   თ. შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომის (პუბლიკაციის) ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების ელექტრონული ვერსია, რაც იძლევა კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას (სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევაში);

ი. შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი ცნობა/დოკუმენტი (სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევაში);

კ. სამოტივაციო წერილი (სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევაში).

4. უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომი, მათ შორის ბოლო 2 წლის განმავლობაში საქართველოს ფარგლებს გარეთ ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი, აღიარებული უნდა იყოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.
5. არანაკლებ ხუთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად გაცემული დიპლომი გათანაბრებული უნდა იყოს მაგისტრის ხარისხთან სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობით.

მუხლი 5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება წარმოებს კომისიური წესით. მიმღები კომისიის შემადგენლობას, მათ შორის კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი, შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით.
2. მიმღები კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან. მიმღები კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ შესაბამისი სფეროს დოქტორის კადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია იძლევა პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა შეფასებას ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. მიმღები კომისიის მინიმუმ ერთი წევრი უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის ადგილობრივი ან/და უცხოეთის უნივერსიტეტის წარმომადგენელი. სფეროს თავისებურების გათვალისწინებით, მიმღები კომისიის შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შედიოდნენ სამთავრობო/არასამთავრობო სექტორისა და შრომის ბაზრის წარმომადგენელ(ებ)ი.
3. კომისია, საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი წესით, აფასებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირის კვლევის პროექტის შინაარსობრივ მხარესა და მის პრეზენტაციას (ინტერვიუს). საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომისია ასევე აფასებს შესაბამის სფეროში კანდიდატის წინარე ნაშრომს/პუბლიკაციას ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობას ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილებასა და შესაძლებლობებს, რაც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის არის საჭირო.
4. პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა კვლევითი უნარების შეფასების სისტემა (შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები) განისაზღვრება შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები უნდა იყოს წინასწარ დამტკიცებული, საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.
5. კანდიდატთა კვლევითი უნარების შეფასების შედეგების საფუძველზე მიმღები კომისია იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის კონკრეტულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.
6. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე დაშვების მსურველი პირი არ ეთანხმება მიმღები კომისიის გადაწყვეტილებას მას უფლება აქვს მიმღები კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს დადგენილი წესით. სააპელაციო კომისიის შემადგენლობას, მათ შორის კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი, შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით. სააპელაციო კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული წესები,

განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ.

7. კანდიდატის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ მიმღები კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე უნივერსიტეტი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტრანტთან დებს ხელშეკრულებას საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა უფლებები და ვალდებულებები. ხელშეკრულების გაფორმებისას კანდიდატმა უნივერსიტეტს უნდა წარუდგინოს შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიღების წესით გათვალისწინებული დოკუმენტები.
8. საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს დოქტორანტობის კანდიდატის კონკრეტულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

თავი III. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

მუხლი 6. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი (ექვსი სასწავლო სემესტრი) და მისი სასწავლო კომპონენტი უნდა მოიცავდეს არაუმეტეს 60 კრედიტს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შესაძლებელია მიეცეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის და/ან კვლევის გაგრძელების შესაძლებლობა, მაგრამ არაუმეტეს 4 დამატებითი სასწავლო სემესტრისა.
3. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის და/ან კვლევის გაგრძელების შესახებ შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებას იღებს დოქტორანტის ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობის საფუძველზე, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს დოქტორანტის მიერ სწავლის და/ან კვლევის გაგრძელების მიზანშეწონილობა.
4. დოქტორანტის მიერ სწავლის/კვლევის გაგრძელების შესახებ დოქტორანტის ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობის წარდგენისა და ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების მიღების წესი რეგულირდება შესაბამისი ფაკულტეტის „სადისერტაციო საბჭოსა და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დებულებით“.

მუხლი 7. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნდა იყოს შესაბამისი სფეროს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მინიმუმ 5 აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - მინიმუმ 3 პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი.
2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით და/ან პრაქტიკული პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას.
3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ასევე შეიძლება ჩართული იყოს უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ცენტრის) პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი.
4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი სფეროს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი

(პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი). პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი.

5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. იგი უშუალოდ უნდა იყოს ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

მუხლი 8. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა არის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა.
2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ტრანსფერული უნარების განვითარების ან/და სფეროს აქტუალურ საკითხებზე/ტენდენციებზე ცოდნის გაღრმავებით გზით ხელს უნდა უწყობდეს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვასა და განხორციელებაში.
3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს სადოქტორო სემინარის, სასწავლო კურსის, პრაქტიკის, პრაქტიკული სახის პროექტის ან სხვა კომპონენტის სახით.
4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი განისაზღვრება შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით ან/და შესაბამისი ფაკულტეტის „სადისერტაციო საბჭოსა და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დებულებით“.
5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასება უნდა განხორციელდეს სასწავლო კომპონენტის შინაარსისა და სადოქტორო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს, დოქტორანტის ცოდნისა და უნარების, მათ შორის, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევისა და დამოუკიდებლად გამოყენების, აზრის არგუმენტირებულად გადმოცემისა და სხვა უნარების შეფასებას.
6. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მთლიანობაში უნდა უზრუნველყოფდეს დოქტორანტების ისეთი კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორიცაა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, კვლევის შედეგების იმპლემენტაციის გზით ტექნოლოგიურ ტრანსფერში ჩართულობა, ლიდერობა, ხელმძღვანელობა, კარიერის განვითარების დაგეგმვა, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება (პედაგოგიური უნარები), პოპულარულ სამეცნიერო ენაზე აზრის გადმოცემა და სხვა.
7. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილი უნდა იყოს სადოქტორო ნაშრომის სახით.
8. მიმდინარე სადოქტორო ნაშრომების თემატიკისა და დაცული სადოქტორო ნაშრომების შესახებ ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებული უნდა იყოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
9. დოქტორანტის ხელმძღვანელს, თანახელმძღვანელს (არსებობის შემთხვევაში) და სადოქტორო თემის სათაურს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, დოქტორანტის შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში.
10. დოქტორანტი, შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვიდან 45 სამუშაო დღის განმავლობაში, ხელმძღვანელთან ერთად შეიმუშავებს დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევის გეგმას. კვლევის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს კვლევის მიზანს, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურას, კვლევის განხორციელების სავარაუდო გრაფიკს, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვა. კვლევის გეგმამ საკვლევი

თემის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს დოქტორანტის საქმიანობის წარმართვა და სადოქტორო ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულება.

11. საკვლევი თემა შეცვლის ან/და სადოქტორო თემის სათაურის შეცვლის ან დაზუსტების საკითხს განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.
12. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებში დოქტორანტის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება როგორც შესაბამისი ფაკულტეტის „სადისერტაციო საბჭოსა და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დებულებით“, ასევე შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლო კომპონენტების სილაბუსებით.

მუხლი 9. დოქტორანტის ხელმძღვანელი

1. დოქტორანტს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც კოორდინაციას უწევს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებას. შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელი.
2. დოქტორანტის ხელმძღვანელი, შეიძლება იყოს უახლესი ცოდნით აღჭურვილი შესაბამისი სფეროს დოქტორის ან დოქტორთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის აკადემიური (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) პერსონალი.
3. აკადემიური თანამდებობის დაკავების ნაწილში ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე.
4. დოქტორანტის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს ხელმძღვანელობის (თანახელმძღვანელობის) გამოცდილება, ან გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი აქტივობა (ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა). დოქტორანტის ხელმძღვანელი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას (კვლევის სფეროს) შეესაბამება. ინფორმაცია დოქტორანტის ხელმძღვანელის კვლევითი ინტერესებისა და პუბლიკაციების შესახებ უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.
5. დოქტორანტის ხელმძღვანელს ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას (კვლევის სფეროს). უცხოური საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებადი (peer-reviewed) ჟურნალი უნდა იყოს ინდექსირებული Scopus-ის, Web of Science-ის ან ERIH PLUS-ის ბაზებში.
6. თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეიძლება იყოს უახლესი ცოდნით აღჭურვილი პირი, რომელსაც აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგადი თემატიკისა და მიმართულების სფეროში გააჩნია შესაბამისი პროფესიული გამოცდილება.
7. თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში.
8. დოქტორანტის ხელმძღვანელს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან უნდა გააჩნდეს პროფესიული კავშირი (ერთობლივი კვლევები, გრანტები, პროექტები და სხვა).
9. დოქტორანტის ხელმძღვანელს, თანახელმძღვანელს (არსებობის შემთხვევაში) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, შესაბამის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტის ჩარიცხვიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

10. შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ დოქტორანტის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის (არსებობის შემთხვევაში) დამტკიცებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში დოქტორანტს, მის ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) და უნივერსიტეტს შორის ფორმდება შეთანხმება, რომლითაც განისაზღვრება ყველა მხარის უფლება-მოვალეობები. ამასთან, შეთანხმების პირობები ხელს უნდა უწყობს ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელის) მიერ საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და დოქტორანტის მიერ ნაშრომის დადგენილ ვადაში დასრულებას.
11. დოქტორანტის ხელმძღვანელმა უნივერსიტეტის ფარგლებში შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 3 დოქტორანტს. ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის 1:5 თანაფარდობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის წარდგენის მიზნით. სამეცნიერო გრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ აღნიშნული თანაფარდობა შესაძლებელია დადგინდეს განსხვავებულად.
12. უნივერსიტეტი ვალდებულია სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისთვის პერიოდულად უზრუნველყოფს იმგვარი ღონისძიებების (ტრენინგი, სემინარი, სამუშაო შეხვედრა და სხვა) განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს ხელმძღვანელობის ეფექტურ განხორციელებას.

მუხლი 10. დოქტორანტის ხელმძღვანელის ვალდებულებები

1. დოქტორანტის ხელმძღვანელი ვალდებულია რეგულარული კონსულტაციები გაუწიოს დოქტორანტს კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე. კონსულტაციების სიხშირე განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის, საკვლევი თემის სპეციფიკისა და დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებების გათვალისწინებით.
2. დოქტორანტის ხელმძღვანელის კონსულტაციები უნდა მოიცავდეს მათ შორის ისეთ საკითხებს, როგორიცაა კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის, სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის ან დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნება, სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის პროცესი და სხვა.
3. დოქტორანტის ხელმძღვანელი ვალდებულია კონტროლი გაუწიოს დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებას. დოქტორანტის ხელმძღვანელი ვალდებულია განახორციელოს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრულად შესრულების პროგრესის პერიოდული დაკვირვება, განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირის მიცემა.
4. დოქტორანტის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობაზე უარის თქმის შემთხვევაში სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებულ განცხადებას წარუდგენს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს.
5. დოქტორანტის ხელმძღვანელის, ასევე თანახელმძღვანელის (არსებობის შემთხვევაში) დანიშვნისა და შეცვლის საკითხები, მათი უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის „სადისერტაციო საბჭოსა და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დებულებით“, ასევე დოქტორანტს, მის ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული შეთანხმებით.

თავი III. სადოქტორო ნაშრომის წარდგენა

მუხლი 11. დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობები

1. შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ან/და ფაკულტეტის „სადისერტაციო საბჭოსა და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დებულება“ უნდა ითვალისწინებდეს სადოქტორო ნაშრომის დაცვაზე დოქტორანტის დაშვების წინაპირობებს, მათ შორის, დოქტორანტის პროგრესიის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებებს.
2. დოქტორანტს სადოქტორო ნაშრომის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენამდე მოეთხოვება შესაბამის კვლევის სფეროში არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, მათ შორის მინიმუმ ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში.

მუხლი 12. სადოქტორო ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნები

1. სადოქტორო ნაშრომი წარმოადგენს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევით ნაშრომს. დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომი უნდა ასახავდეს კვლევის დასაბუთებულ შედეგებს, უნდა გააჩნდეს სამეცნიერო-კვლევითი მნიშვნელობა ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე, იყოს ინოვაციური და პრაქტიკული/თეორიული ღირებულების მქონე.
2. ქართულენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სადოქტორო ნაშრომი უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე, ხოლო სადოქტორო ნაშრომის რეზიუმე - ქართულ და ინგლისურ ენებზე.
3. ქართულენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ინგლისურ ენაზე სადოქტორო ნაშრომი შესრულების საკითხს წყვეტს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. ნაშრომის ინგლისურ ენაზე შესრულების შემთხვევაში სადოქტორო ნაშრომის რეზიუმე ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ და ინგლისურ ენებზე.
4. ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სადოქტორო ნაშრომი უნდა შესრულდეს ინგლისურ ენაზე, ხოლო სადოქტორო ნაშრომის რეზიუმე - ქართულ და ინგლისურ ენებზე.
5. სადოქტორო ნაშრომის რეზიუმე უნდა ასახავდეს სადოქტორო ნაშრომის ყველა კომპონენტს. სადოქტორო ნაშრომის რეზიუმე შედგენილი უნდა იყოს ისე, რომ დაინტერესებულმა პირმა შეძლოს სადოქტორო ნაშრომის ძირითადი შედეგების გაცნობა და ნაშრომის ფორმალური და შინაარსობრივი მხარის შეფასება.
6. სადოქტორო ნაშრომის რეზიუმეს მოცულობა განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის „სადისერტაციო საბჭოსა და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დებულებით“, ასევე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი ინსტრუქციით.
7. სადოქტორო ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნებს შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 13. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამოვლენის მექანიზმი

1. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პრევენციის მიზნით, დოქტორანტის მიერ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შექმნილი სადოქტორო ნაშრომი ექვემდებარება სავალდებულო შემოწმებას მსგავსების აღმომჩენი ელექტრონული პროგრამით.
2. დოქტორანტი შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში სადოქტორო ნაშრომის წარდგენამდე, ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციას, მსგავსების აღმომჩენ ელექტრონულ პროგრამაზე გადამოწმების მიზნით.
3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტს, ფაკულტეტის ადმინისტრაციაში სადოქტორო ნაშრომის წარდგენამდე, უშუალოდ გადაამოწმოს ნაშრომი უნივერსიტეტში არსებული მსგავსების აღმომჩენი ელექტრონული პროგრამით. ამასთან, დოქტორანტის მიერ ფაკულტეტის

ადმინისტრაციაში წარდგენილ სადოქტორო ნაშრომში შემდგომში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია.

4. ფაკულტეტზე წარდგენილი სადოქტორო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას თან უნდა ახლდეს დოქტორანტის განაცხადი იმის თაობაზე, რომ წარდგენილი ნაშრომი მისი დამოუკიდებელი კვლევის შედეგია, არ შეიცავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ელემენტებს (პლაგიატს, გაყალბებულ მონაცემებს), ორიგინალურია, სხვა ავტორთა მოსაზრებები მითითებულია დადგენილი წესით და კვლევის მეთოდების გამოყენებისას დაცულია აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმები (იხ. დანართი №1).
5. ფაკულტეტი ვალდებულია სადოქტორო ნაშრომის ელექტრონული ვერსია, წარდგენიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში, შეამოწმოს მსგავსების აღმომჩენი ელექტრონული პროგრამით და შემოწმების შედეგები სადოქტორო ნაშრომის ელექტრონული ვერსიასთან ერთად გადასცეს დოქტორანტის ხელმძღვანელს.
6. დოქტორანტის ხელმძღვანელი აფასებს სადოქტორო ნაშრომს და ნაშრომის მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში გასცემს წერილობით დასკვნას. დასკვნაში დადასტურებული უნდა იყოს სადოქტორო ნაშრომის მნიშვნელობა და აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა. დასკვნა ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მსგავსების აღმომჩენ ელექტრონულ პროგრამაზე ნაშრომის გადამოწმების შედეგების შესახებ, კერძოდ, ნაშრომში პლაგიატის ან გაყალბებული მონაცემების არარსებობის თაობაზე.
7. წარდგენილ სადოქტორო ნაშრომში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, დოქტორანტის ხელძღვანელი დასაბუთებულ წერილობით დასკვნას წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციას და დოქტორანტს.
8. საჭიროების შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანი, დოქტორანტის ხელძღვანელის წერილობითი დასკვნის საფუძველზე, განსაზღვრავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისიის შემადგენლობას და დოქტორანტის აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხის განხილვის თარიღს.
9. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებზე რეაგირების წესი, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები, ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები განისაზღვრება „შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსით“.

მუხლი 14. სადოქტორო ნაშრომის წარდგენის პროცედურა

1. დოქტორანტის ხელმძღვანელის მიერ სადოქტორო ნაშრომის შეფასების შემდეგ აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტი შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს სადოქტორო ნაშრომის 5 აკინძულ ბეჭდურ ეგზემპლარს და მის ელექტრონულ ვერსიას (PDF ფორმატში).
2. სადოქტორო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს უნდა წარუდგინოს:

   ა. განცხადება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე სადოქტორო ნაშრომის განსახილველად მიღების შესახებ (იხ. დანართი №2);

   ბ. დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში (იხ. დანართი №3);

   გ. წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მოთხოვნებით ქართულ და ინგლისურ ენაზე შესრულებული სადოქტორო ნაშრომის რეზიუმე და მათი ელექტრონული ვერსიები (PDF ფორმატში);

   დ. დოქტორანტის ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელის) წერილობითი დასკვნა (იხ. დანართი №4);

   ე. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ გაცემული ცნობა დოქტორანტის მიერ წინამდებარე დებულებით განსაზღვრული სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის

განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების თაობაზე;

ვ. ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შესრულების, დაგროვილი კრედიტებისა და სემესტრების სრულად გავლის თაობაზე;

ზ. მისი ავტორობით სადოქტორო თემაზე შესრულებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და ამ დებულების შესაბამისად გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო ნაშრომის შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია.

3. წარმოდგენილ დოკუმენტებს 5 კალენდარული დღის განმავლობაში ამოწმებს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი და, თუ ისინი წესრიგშია, წარუდგენს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც 10 კალენდარული დღის ვადაში მსვლელობას აძლევს საქმის წარმოებას.
4. დოქტორანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისგან შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში სადოქტორო ნაშრომის წარდგენის მომენტიდან. ამასთან, სადოქტორო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუშაობას.
5. შესაბამისი ფაკულტეტის „სადისერტაციო საბჭოსა და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დებულებით“ შეიძლება განისაზღვროს დისერტაციის წარდგენასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები.

მუხლი 15. სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტები

1. სადოქტორო ნაშრომის წარდგენის შემდეგ შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, სადოქტორო ნაშრომის რეცენზირების მიზნით, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობისა და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე, ნიშნავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორ რეცენზენტს. ორი რეცენზენტიდან მინიმუმ ერთი უნდა იყოს საერთაშორისო რეცენზენტი.
2. სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტების შერჩევისა და დანიშვნის პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და ობიექტური. რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა, რაც ხელს უწყობს მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური დასკვნის მომზადებას. რეცენზიის გაცნობამდე დოქტორანტისთვის ან/და მისი ხელმძღვანელისთვის (თანახელმძღვანელისთვის) რეცენზენტის ვინაობა უნდა იყოს კონფიდენციალური.
3. ადგილობრივი რეცენზენტი შეიძლება იყოს ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ცენტრის) პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე შესაბამისი სფეროს დოქტორის ან დოქტორთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს.
4. საერთაშორისო რეცენზენტი შეიძლება იყოს უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ცენტრის) პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე შესაბამისი სფეროს დოქტორის ან დოქტორთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს.

5. საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის იმ შემთხვევაში, თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი.
6. ქართულენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი რეცენზენტების დამტკიცებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ადგილობრივ რეცენზენტს გადასცემს სადოქტორო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას (PDF ფორმატში), ხოლო საერთაშორისო რეცენზენტს - სადოქტორო ნაშრომის რეზიუმეს ინგლისურენოვან ელექტრონულ ვერსიას (PDF ფორმატში).
7. ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი რეცენზენტების დამტკიცებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო რეცენზენტს გადასცემს სადოქტორო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას (PDF ფორმატში).
8. რეცენზენტი ვალდებულია წინამდებარე სტანდარტით დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით შეაფასოს სადოქტორო ნაშრომი და გასცეს შემაჯამებელი შეფასება სადოქტორო ნაშრომის დაცვის კომისიისათვის გადაცემის (დადებითი შეფასება) ან რეკომენდაციების გათვალისწინებისა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით სადოქტორო ნაშრომის დოქტორანტისთვის დაბრუნების შესახებ (უარყოფითი შეფასება).
9. რეცენზენტმა შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს რეცენზია უნდა წარუდგინოს სადოქტორო ნაშრომის/სადოქტორო ნაშრომის რეზიუმეს მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში (დანართი №5).
10. ორივე რეცენზენტის მიერ სადოქტორო ნაშრომის დადებითად შეფასების შემთხვევაში, სადოქტორო ნაშრომი გადაეცემა დაცვის კომისიას.
11. ერთ-ერთი რეცენზენტის მიერ სადოქტორო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში ინიშნება ახალი რეცენზენტი.
12. ორივე რეცენზენტის მიერ სადოქტორო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტი დაცვის პროცედურაზე არ დაიშვება და მას მიეცემა რეკომენდაციების გათვალისწინებისა და ხარვეზების აღმოფხვრის უფლება შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული სემესტრების განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს 2 სასწავლო სემესტრისა.

თავი IV. სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურები

მუხლი 16. დაცვის კომისიის ფორმირებისა და საქმიანობის წესი

1. სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება კომისიური წესით - დაცვის კომისიის მიერ. თითოეული სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის მიზნით, შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს დაცვის კომისიას, მათ შორის კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს.
2. დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან. დაცვის კომისიის წევრს უნდა გააჩნდეს შესაბამის სფეროში დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადოქტორო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში, სპეციალობაში, მიმართულებაში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები. დაცვის კომისიის წევრის კვალიფიკაცია და კომპეტენცია უნდა იძლეოდეს ნაშრომის სიღრმისეულად და სრულყოფილად შეფასების და კვლევის ორიგინალობისა და მისი შედეგების შეფასების შესაძლებლობას.
3. დაცვისა კომისიის მინიმუმ ორი წევრი უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის ადგილობრივი ან/და უცხოეთის უნივერსიტეტის წარმომადგენელი. სფეროს თავისებურების

გათვალისწინებით, დაცვის კომისიის შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შედიოდნენ სამთავრობო/არასამთავრობო სექტორისა და შრომის ბაზრის წარმომადგენელ(ებ)ი.

4. დოქტორანტის ხელმძღვანელი (არსებობის შემთხვევაში თანახელმძღვანელი) დაცვის კომისიის მუშაობაში არ მონაწილეობს.
5. დაცვის კომისია თავის საქმიანობას წარმართავს წინამდებარე სტანდარტის, აგრეთვე შესაბამისი შესაბამისი ფაკულტეტის „სადისერტაციო საბჭოსა და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დებულების“ შესაბამისად.
6. დაცვის კომისია უზრუნველყოფს სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცესის წარმართვას და სადოქტორო ნაშრომის შეფასებას მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე სტანდარტით დადგენილი პროცედურების მიხედვით.
7. დაცვის კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის ორგანიზაციულ საქმიანობას. დაცვის კომისიის მდივანი აწარმოებს სადოქტორო ნაშრომის დაცვის ოქმს, ეხმარება კომისიის თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში, ხელმძღვანელობს კომისიის საქმისწარმოებას, შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს აწვდის დაცვის კომისიის მიერ წარმოებულ დოკუმენტაციას.

მუხლი 17. სადოქტორო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება

1. შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი დაცვის კომისიის დამტკიცებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში სადოქტორო ნაშრომის ეგზემპლარებს გადასცემს კომისიის წევრებს სადოქტორო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შესაფასებლად.
2. დაცვის კომისიის წევრები ინდივიდუალურად აფასებენ სადოქტორო ნაშრომის შინაარსობრივ მხარეს დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად და შეფასების შედეგებს ნაშრომის გადაცემიდან 20 კალენდარული დღის ვადაში წარუდგენენ დაცვის კომისიის მდივანს.
3. სადოქტორო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის „სადისერტაციო საბჭოსა და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დებულებით“.
4. სადოქტორო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასების მიზნით დაცვის კომისიის მდივანს გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე).

მუხლი 18. სადოქტორო ნაშრომის დაცვა

1. სადოქტორო ნაშრომის დაცვა წარმოებს დაცვის კომისიის სხდომაზე. სადოქტორო ნაშრომის დაცვა არის საჯარო და ღია. ინფორმაცია სადოქტორო ნაშრომის დაცვის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის (შესაბამისი ფაკულტეტის) ვებ გვერდზე სადოქტორო ნაშრომის დაცვამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
2. ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სადოქტორო ნაშრომის დაცვის ენა არის ქართული, ხოლო ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე - ინგლისური.
3. დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო დისკუსიას და დაცვის კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებას (შეფასებას).
4. დაცვის კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.
5. დაცვის კომისიის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი (დანართი № 6).

მუხლი 19. სადოქტორო ნაშრომის დასკვნითი შეფასება

1. დაცვის კომისია სადოქტორო ნაშრომის დასკვნითი შეფასებას ახდენს კონფიდენციალურად, დახურულ სხდომაზე.
2. დახურულ სხდომაზე დაცვის კომისიის წევრები, თავდაპირველად, ინდივიდუალურად აფასებენ სადოქტორო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციას და სამეცნიერო კამათში დოქტორანტის მონაწილეობას.
3. სადოქტორო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციის და სამეცნიერო კამათში დოქტორანტის მონაწილეობის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის „სადისერტაციო საბჭოსა და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დებულებით“.
4. სადოქტორო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციისა და სამეცნიერო კამათში დოქტორანტის მონაწილეობის შეფასების მიზნით დაცვის კომისიის მდივანს გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე).
5. სადოქტორო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციისა და სამეცნიერო კამათში დოქტორანტის მონაწილეობის შეფასების შემდეგ დაცვის კომისია აფასებს სადოქტორო ნაშრომს 100 ქულიანი სისტემით მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს კომისიის წევრების მიერ ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებასა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.
6. სხდომის დასრულებისთანავე დაცვის კომისიის თავმჯდომარე კომისიის დასკვნით შეფასებას აცხადებს საჯაროდ.

მუხლი 20. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება (აპელაცია)

1. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზანია უზრუნველყოს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება.
2. თუ დოქტორანტი არ ეთანხმება დაცვის კომისიის დასკვნით შეფასებას ან მიიჩნევს, რომ დარღვეულია სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცედურული ნორმები, მას უფლება აქვს, შეფასების გამოცხადებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, წერილობით მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს და გაასაჩივროს დაცვის კომისიის დასკვნითი შეფასება.
3. დოქტორანტის საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული გასაჩივრების საგანი და გამსაჩივრებლის არგუმენტები. ამასთან, გასაჩივრების საგანი შეიძლება იყოს:
   ა. დაცვის კომისიის დასკვნითი შეფასება, რომელიც მოიცავს დაცვის კომისიის წევრების მიერ ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებასა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას;
   ბ. სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცედურული ნორმების დარღვევა.
4. საჭიროების შემთხვევაში, დოქტორანტის დასაბუთებული საჩივრის საფუძველზე, შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით განსაზღვრავს სააპელაციო კომისიის შემადგენლობას, მათ შორის, სააპელაციო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს.
5. სააპელაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან, მათ შორის არანაკლებ ერთი წევრი უნდა იყოს საქართველოს სხვა უსდ-ის წარმომადგენელი.
6. სააპელაციო კომისიის წევრს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სფეროს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადოქტორო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში, სპეციალობაში, მიმართულებაში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.
7. სააპელაციო კომისიის წევრები ინდივიდუალურად აფასებენ სადოქტორო ნაშრომის შინაარსობრივ მხარეს დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად და შეფასების შედეგებს ნაშრომის გადაცემიდან 15 კალენდარული დღის ვადაში წარუდგენენ სააპელაციო კომისიის მდივანს.
8. სადოქტორო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასების მიზნით სააპელაციო კომისიის მდივანს გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა

რაოდენობაზე).

9. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისიის წევრების მიერ სადოქტორო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება აღემატება დაცვის კომისიის წევრების მიერ ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებას, შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ინიშნება სადოქტორო ნაშრომის დაცვის თარიღი.
10. სააპელაციო კომისიის წევრები თავდაპირველად ინდივიდუალურად ახდენენ სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცესის (საჯარო პრეზენტაცია და სამეცნიერო კამათში მონაწილეობა) შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.
11. სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცესის შეფასების მიზნით სააპელაციო კომისიის მდივანს გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე).
12. სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცესის შეფასების შემდეგ სააპელაციო კომისია აფასებს სადოქტორო ნაშრომს 100 ქულიანი სისტემით მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებასა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.
13. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისიის წევრების მიერ სადოქტორო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება არ აღემატება დაცვის კომისიის შეფასებას, სადოქტორო ნაშრომის განმეორებითი დაცვა (ნაშრომის პრეზენტაცია და სამეცნიერო დისკუსია) არ ინიშნება და სადოქტორო ნაშრომის შეფასება დაცვის კომისიის დასკვნითი შეფასებით განისაზღვრება.
14. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტის საჩივარი სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცედურული ნორმების დარღვევებს შეეხება, შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო მოისმენს როგორც დოქტორანტის, ასევე დაცვის კომისიის თავმჯდომარის, მდივანის, წევრების არგუმენტებს და საკმარისი საფუძვლების არსებობისას იღებს გადაწყვეტილებას სადოქტორო ნაშრომის დასკვნითი შეფასების ბათილად ცნობისა და ახალი დაცვის კომისიის შექმნის შესახებ.

თავი V. აკადემიური ხარისხის მინიჭება

მუხლი 21. აკადემიური ხარისხის მინიჭება

1. სადოქტორო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია უნდა გადაეცეს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს, დისერტაციის დაცვიდან 20 სამუშაო დღის ვადაში. შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი ვალდებულია სადოქტორო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია გადასცეს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ყველა წევრს, დოქტორანტისთვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.
2. შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო დოქტორანტს ანიჭებს სადოქტორო საგანმანათლებლობლო პროგრამით განსაზღვრულ დოქტორის აკადემიურ ხარისხს, რომელიც შეესაბამება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს პირველ სვეტს.
3. შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო სადოქტოროო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაციას განიხილავს დისერტაციის დასკვნითი შეფასებიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში.
4. შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია დოქტორანტს მიანიჭოს დოქტორის აკადემიური ხარისხი, თუ საბჭოს ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი და აკადემიური ხარისხის მინიჭებას ხმა მისცა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. საბჭოს სხდომას უნდა ესწრებოდეს დაცვის კომისიის/სააპელაციო კომისიის მდივანი.
5. შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დისერტაციის შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ სადისერტაციო საბჭოს წევრებს ინფორმაციას აწვდის დაცვის კომისიის/სააპელაციო კომისიის მდივანი. დოქტორანტისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო იღებს ღია კენჭისყრით.

6. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმი და სადოქტორო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია, ინახება შესაბამის ფაკულტეტზე დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან 6 წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ უნივერსიტეტის არქივს გადაეცემა.

მუხლი 22. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

1. დოქტორის აკადემიურ ხარისხს ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი და დიპლომის დანართი.
2. დიპლომის გაცემამდე დოქტორანტზე შეიძლება გაიცეს ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მუხლი 23. სადოქტორო ნაშრომის გამოქვეყნების ვალდებულება

შესაბამისი ფაკულტეტი ვალდებულია, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ, ერთი თვის ვადაში დისერტაციის თითო ბეჭდური ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია გადასცეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, ასევე ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას.

თავი VI. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების მხარდამჭერი მექანიზმები

მუხლი 23. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსება

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსების მიზნით უნივერსიტეტის ბიუჯეტი ითვალისწინებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისათვის დოქტორანტის მხარდამჭერ და დაფინანსების მექანიზმებს.
2. უნივერსიტეტის ბიუჯეტი ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის მიერ კვლევების განხორციელებისათვის ხელისშემწყობ ფინანსური მხარდაჭერის წყაროებს (მექანიზმებს), მათ შორის სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნების, სამეცნიერო კონფერენციებში, სამეცნიერო მივლინებებში, კვლევით პროექტებში მონაწილეობის, მონოგრაფიების გამოცემისთვის და სხვა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისთვის საჭირო ფინანსური ხარჯების დაფინასებას.
3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტური განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტის ბიუჯეტი ასევე ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარების ღონისძიებებს.
4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიზნობრივი კვლევების განხორციელების მიზნით უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალს გარე დაფინანსების წყაროების მოძიებაში.

მუხლი 24. დოქტორანტთა მხარდამჭერი სერვისები

1. სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის განხორციელებისა და კურსდამთავრებულთა სამუშაო ბაზარზე ინტეგრირებისა და კარიერული წინსვლის მიზნით, უნივერსიტეტი სადოქტორო პროგრამის

ფარგლებში, სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, თანამშრომლობს ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, ცენტრებთან, უსდ-ებთან, სადოქტორო სკოლებთან, ასევე, საჯარო და კერძო სექტორთან და სხვა პოტენციურ დამსაქმებელთან.

2. უნივერსიტეტი ვალდებულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე შექმნას სათანადო პირობები და გარემო დოქტორანტთა საერთაშორისო მობილობის წახალისებისათვის და/ან საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში და სხვა სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობისათვის.
3. უნივერსიტეტი ვალდებულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე შექმნას სათანადო პირობები და გარემო ძლიერი და ინკლუზიური კვლევითი გარემოს განვითარებისათვის, კვლევის საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, კვლევის ინტერნაციონალიზაციისათვის და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებისათვის.
4. უნივერსიტეტი ვალდებულია დოქტორანტებს საჭიროების შემთხვევაში შესთავაზოს მხარდაჭერის დამატებითი მექანიზმები კურიკულუმის მიღმა ღონისძიებებისა და აქტივობის სახით, რომელიც მიმართულია დოქტორანტის პიროვნული, პროფესიული და კარიერული განვითარებისკენ, ასევე დოქტორანტის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სადოქტორო ნაშრომი დასრულებისათვის.

მუხლი 25. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას იმ აუცილებელი კვლევითი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით (სამეცნიერო ლაბორატორია, კომპიუტერული რესურსი, საინფორმაციო რესურსი, ციფრული რესურსი, დოქტორანტთა ინდივიდუალური სამუშაო სივრცეები და სხვა), რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის.
2. დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც აძლევს მათ საშუალებას, როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, ასევე სხვა ნებისმიერი ლოკაციიდან, ჰქონდეთ წვდომა და გაეცნონ კვლევის სფეროს შესაბამის სამეცნიერო რესურსებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

თავი VII. დასკვნითი დებულებები

მუხლი 26. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების მინიმალური სტანდარტი ამოქმედდეს 2024 წლის 1 სექტემბრის შემდეგ ჩარიცხულ დოქტორანტებზე.
2. 2024 წლის 1 სექტემბრამდე ჩარიცხულ დოქტორანტებზე ძალაში დარჩეს უსდ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 30 ნოემბრის დადგენილებით დამტკიცებული „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი“.
3. 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, რომელიც სადოქტორო ხელმძღვანელობას უწევს ამავე სტანდარტის მე-9 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილ რაოდენობაზე მეტ დოქტორანტს შეეზღუდოს დამატებით დოქტორანტის ხელმძღვანელობა.

დანართი №1

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

---------- **ფაკულტეტის დეკანს,**

ბატონ/ქალბატონ ----------

(სახელი, გვარი)

მონაცემები დოქტორანტის შესახებ

დოქტორანტი: ---------- ---------- ----------

სახელი გვარი პირადი ნომერი

ფაქტობრივი მისამართი: ----------

ელ-ფოსტა: ---------- **ტელ. ნომერი:** ---------- ----------

(სახლი) (მობილური)

მიუთითეთ ფაკულტეტი ----------

მიუთითეთ სადოქტორო პროგრამა ----------

განცხადება

გთხოვთ მიიღოთ ჩემს მიერ შესრულებული სადოქტორო ნაშრომის „----------

----------“ელექტრონული ვერსია მსგავსები აღმომჩენ ელექტრონულ პროგრამაზე გადამოწმების მიზნით.

გაცნობებთ, რომ წინამდებარე სადოქტორო ნაშრომი წარმოადგენს ჩემი დამოუკიდებელი კვლევის შედეგს, არ შეიცავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ელემენტებს (პლაგიატს, გაყალბებულ მონაცემებს), ორიგინალურია, სხვა ავტორთა მოსაზრებები მასში მითითებულია დადგენილი წესით, ხოლო კვლევის მეთოდების გამოყენებისას დაცულია აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმები

სახელი და გვარი (სრულად)

ხელმოწერა

თარიღი

დანართი №2

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

---------- ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს
თავმჯდომარეს

ბატონ/ქალბატონ ----------
(სახელი, გვარი)

მონაცემები დოქტორანტის შესახებ

დოქტორანტი: ---------- ---------- ----------
სახელი გვარი პირადი ნომერი

ფაქტობრივი მისამართი: ----------

ელ-ფოსტა: ---------- **ტელ. ნომერი:** ---------- ----------
(სახლი) (მობილური)

მიუთითეთ ფაკულტეტი ----------

მიუთითეთ სადოქტორო პროგრამა ----------

განცხადება

გთხოვთ მიიღოთ ჩემს მიერ შესრულებული სადოქტორო ნაშრომი თემაზე: „----------

----------“ განსახილველად.

დანართები:

- სადოქტორო ნაშრომის 5 აკინძული ბეჭდური ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში);
- დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში;
- ქართულ და ინგლისურ ენაზე შესრულებული სადოქტორო ნაშრომის რეზიუმე და მათი ელექტრონული ვერსიები (PDF ფორმატში);
- დოქტორანტის ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელის) წერილობითი დასკვნა;
- ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ გაცემული ცნობა დოქტორანტის მიერ წინამდებარე დებულებით განსაზღვრული სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების თაობაზე;
- ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შესრულების, დაგროვილი კრედიტებისა და სემესტრების სრულად გავლის თაობაზე;
- მისი ავტორობით სადოქტორო თემაზე შესრულებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და ამ დებულების შესაბამისად გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო ნაშრომის შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია.

სახელი და გვარი (სრულად)

ხელმოწერა

თარიღი

შემაჯამებელი ანგარიში

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ---------- ფაკულტეტის

---------- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის

დოქტორანტის ---------- შესრულებული სამუშაოს შესახებ

ზოგადი ინფორმაცია

დოქტორანტურაში ჩარიცხვის თარიღი და ბრძანება	
სადოქტორო ნაშრომის სათაური (თემის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მითითებით; ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, აკადემიური, თანამდებობა)	
დოქტორანტის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა; ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მითითებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
თანახელმძღვანელი (სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	

სასწავლო კომპონენტი

N	სასწავლო კომპონენტის დასახელება	სასწავლო წელი/სემესტრი	კრედიტების რაოდენობა	შეფასება
1				
2				
3				
4				
5				

სამეცნიერო -კვლევითი კომპონენტი

1. ინფორმაცია სამეცნიერო კომპონენტის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ა)

N	სამეცნიერო კომპონენტის დასახელება	სასწავლო წელი/სემესტრი
1		
2		
3		

2. ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა და დოქტორანტის უცხოეთში ვიზიტის შესაბამისობა საკვლევ თემასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

(აღწერეთ სამეცნიერო კომპონენტის ფარგლებში ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა. კვლევის მიზნებისათვის განხორციელებული სამეცნიერო კვლევითი ვიზიტი/სტაჟირება (ასეთის არსებობის შემთხვევაში): მიუთითეთ მიმღები ინსტიტუტის/კვლევითი ცენტრის სახელწოდება და ქვეყანა, მივლინების/სტაჟირების

განმავლობაში სამეცნიერო კონსულტანტის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი და როლი სადოქტორო ნაშრომის მიზნების მიღწევაში. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა).

3. ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში (ფორუმები, კონფერენციები, სემინარები, ვორკშფები და ა.შ.) მონაწილეობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

N	**სამეცნიერო ფორუმის დასახელება, ჩატარების თარიღი და ადგილი**	**მოხსენების სათაური**	**ელექტრონული მისამართი**
1			
2			

4. სადოქტორო თემასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული პუბლიკაციები

N	**ავტორ(ებ)ი** (ყველა თანაავტორის მითითებით; დოქტორანტის გვარი გამოიყოს მუქი შრიფტით)	**პუბლიკაციის სახეობა** (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceedings) და სხვ.)	**პუბლიკაციის სათაური** (ჟურნალის/ გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში))	**გამოქვეყნების წელი**
1				
2				

სახელი და გვარი (სრულად)

ხელმოწერა

თარიღი

ხელმძღვანელის დასკვნა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ---------- ფაკულტეტის ----------

---------- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის ----------

სადოქტორო ნაშრომის „----------“ შესახებ

1. სამეცნიერო ხელმძღვანელმა დოქტორანტი უნდა შეაფასოს სწავლის და კვლევის მიღწეული შედეგების - სასწავლო და კვლევითი კომპონენტების, ასევე კვლევის მიზნებისათვის განხორციელებული სამეცნიერო კვლევითი ვიზიტის/სტაჟირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში (ფორუმები, კონფერენციები, სემინარები, ვორკშფები და ა.შ.) მონაწილეობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სადოქტორო თემასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული პუბლიკაციების - საფუძველზე (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა).
2. დადასტურებული უნდა იყოს სადოქტორო ნაშრომის მნიშვნელობა და აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა. ინფორმაცია პლაგიატის/გაყალბებული მონაცემების თაობაზე (სიტყვების რეკომენდირებული რაოდენობა- 800 სიტყვა).

სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა:

თარიღი:

რეცენზია

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ---------- ფაკულტეტის
---------- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის
დოქტორანტის ---------- სადოქტორო ნაშრომის
„----------“ შესახებ

რეცენზენტმა სადოქტორო ნაშრომი უნდა შეაფასოს შედეგი კრიტერიუმებით:

1. სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურა;
2. სადოქტორო ნაშრომის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება;
3. კვლევის მიზანი/მიზნებიდაამოცანები;
4. კვლევის მეთოდოლოგია;
5. კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა;
6. ინფორმაცია პლაგიატის/გაყალბებული მონაცემების თაობაზე.

რეცენზიის სტრუქტურა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს:

1.ნაშრომის ფორმალური მხარის შეფასება

1.1.ნაშრომის ტექნიკური მონაცემები
1.2.ნაშრომის კომპოზიცია
1.3.ნაშრომის ენობრივი და სტილისტური ფორმულირება
1.4.დიაგრამები, ტაბულები, მატრიცები
1.5.ციტირებისფორმატი

2.ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება

2.1.პრობლემის დასმა
2.2.ლიტერატურის შეფასება
2.3.ნაშრომის ცალკეული შემადგენელი ნაწილების შეფასება
2.4.კვლევის მეთოდოლოგია, კვლევითი ნაწილის შედეგები
2.5.ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

3.საკითხები,რომლებიცდამატებით განმარტებას მოითხოვენ
4.შემაჯამებელი შეფასება

რეცენზენტი გასცემს რეკომენდაციას სადოქტორო ნაშრომის დაცვის კომისიაზე დაშვების (დადებითი შეფასება) ან რეკომენდაციების გათვალისწინებისა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით სადოქტორო ნაშრომის დოქტორანტისათვის დაბრუნების შესახებ (უარყოფითი შეფასება).

დანართი № 6

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ---------- ფაკულტეტის

„----------“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის ----------
(სახელი, გვარი)

დაცვის კომისიის ოქმი № ------

თარიღი, თბილისი

1. სხდომაზე დამსწრე საზოგადოება (სადოქტორო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების, შემფასებლებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების (გვარი, სახელი; დაწესებულება, აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა) მითითება).
1. დღის წესრიგის ფორმულირება (---------- ფაკულტეტის „----------“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის --------- (სახელი, გვარი) სადოქტორო ნაშრომის (დასახელება) დაცვა);
2. კენჭისყრის ჩატარება სადოქტორო ნაშრომის დაცვის კომისიის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ (მიუთითეთ მხარდამჭერ წევრთა რაოდენობა).
3. სადოქტორო ნაშრომის დაცვის კომისიის გადაწყვეტილება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ (მიუთითეთ მხარდამჭერ წევრთა რაოდენობა).;
4. ინფორმაცია დოქტორანტის შესახებ (რეგლამენტი - არაუმეტეს 10 წუთი, წარადგენს კომისიის მდივანი).
5. დოქტორანტის მიერ სადოქტორო ნაშრომის წარდგენა (რეგლამენტი - არაუმეტეს 30 წუთი; დოქტორანტის სიტყვა ერთვის ოქმს).
6. ადგილობრივი რეცენზენტის დასკვნა (რეცენზია) (რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; რეცენზია ერთვის ოქმს);
7. დოქტორანტის პასუხი ადგილობრივი რეცენზენტის დასკვნაზე (რეცენზიაზე) (რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; დოქტორანტის პასუხი ერთვის ოქმს; დისკუსია აღიწეროს ოქმში);
8. საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა (რეცენზია) (რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; რეცენზია ერთვის ოქმს);
9. დოქტორანტის პასუხი საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნაზე (რეცენზიაზე) (რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; დოქტორანტის პასუხი ერთვის ოქმს; დისკუსია აღიწეროს ოქმში);
10. მესამე რეცენზენტის დასკვნა (რეცენზია) (რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; რეცენზია ერთვის ოქმს);
11. დოქტორანტის პასუხი მესამე რეცენზენტის დასკვნაზე (რეცენზიაზე) (რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; დოქტორანტის პასუხი ერთვის ოქმს; დისკუსია აღიწეროს ოქმში);
12. სამეცნიერო დისკუსია (თითოეული გამომსვლელის რეგლამენტი - არაუმეტეს 5 წუთი; დოქტორანტის პასუხი - არაუმეტეს 5 წუთი; სადოქტორო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების, დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლების და დოქტორანტის კითხვა-პასუხები აღიწეროს ოქმში).
13. დოქტორანტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის სიტყვა (ოქმს ერთვის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა; რეგლამენტი - არაუმეტეს 10 წუთი).
14. დოქტორანტის სიტყვა (რეგლამენტი - არაუმეტეს 5 წუთი).
15. სადოქტორო ნაშრომის შეფასების პროცედურა (სადოქტორო ნაშრომის შეფასება დაცვის კომისიის მიერ დახურულ სხდომაზე; სადოქტორო ნაშრომის შეფასების საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადება).

ოქმს ხელმოწერით ადასტურებს - დაცვის კომისიის თავმჯდომარე და დაცვის კომისიის მდივანი.